გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2018-2019 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
   (სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

   2017 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციის - People in Need Georgia(PIN) (ევროკავშირისა და ჩეხეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტი) მიერ სოციალური დაცვის პროგრამის - **სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება** ფარგლებში დაინერგა ინოვაციური პროექტი-**„ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი“**, რომელიც ითვალისწინებს ხანდაზმულთა შინ მოვლის კომპლექსურ სერვისს. ადაპტირებული მიკროავტობუსის საშუალებით მობილური ჯგუფი: ექიმი, მომვლელი ქალი და მძღოლი ბინაზე აკითხავენ წინასწარ შერჩეულ მარტოხელა და მარტო მცხოვრებ ხანდაზმულებს, რომელთაც არ აქვთ ფიზიკური და ეკონომიკური საშუალება მოიწესრიგონ საცხოვრებელი გარემო-პირობები.

2. **თემატიკა:**
   (გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

   მუნიციპალური სოციალური პროგრამები მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
   (განაცხადის შემვსების მონაცემები სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა))

   გოგი რევია - სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი 595322402 gogirevia@gmail.com
   თამარ ჩიქავა - III რანგის პირველი კატეგორიის - სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი; 555650050 tchikava@yahoo.com;

4. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**
   (მაქსიმუმ ერთი გვერდი)
   - **გამოწვევა - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება.**
   - **წარსული გამოცდილება - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას.**
   - **პასუხი არსებულ გამოწვევაზე - მოკლე აღწერა და მიღებული შედეგი**

   ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაახლოებით ხუთასამდე მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმული ცხოვრობს. მათ ნაწილს არ აქვთ სოციალურ-ეკონომიკური პირობები რათა ღირსეულ პირობებში იცხოვრონ, მათ სჭირდებათ თანადგომა, როგორც მატერიალური,

ასევე, ფსიქო-ემოციური მიმართულებით. 2017 წელს, სანამ პროექტი დაიწყებოდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა მარტოხელა ხანდაზმულებზე გასცემდა ერთჯერად ფულად დახმარებას 100(ასი) ლარის ოდენობით. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შემდგომი წლების სამოქმედო და სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე დასახულია მიზნად, რომ ერთჯერად ფულად დახმარებებს ჩაენაცვლოს და დაინერგოს ახალი სერვისები. აქედან გამომდინარე, პროექტი „ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი“ სრულად პასუხობდა არსებულ გამოწვევებს. კერძოდ, ხანდაზმულები ერთჯერადი 100 ლარიანი დახმარების სანაცვლოდ იღებენ კომპლექსურ მომსახურებას ყოველთვიურად. გარდა ამისა, ჩავრთეთ და დავაინტერესეთ სხვადასხვა საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლები:

1. ახალგაზრდა მოხალისეების გააქტიურება და ჩართვა საზოგადოებრივ საქმიანობაში.
2. ქველმოქმედება - ერთერთმა რესტორანმა უზრუნველყო საკვები პროდუქტებით ბენეფიციარები
3. მოქალაქეების დაინტერესება და ჩართვა აღნიშნულ პროგრამაში. ტანსაცმლითა და კვების პროდუქტებით სტუმრობა.
4. ერთერთმა სამედიცინო პროვაიდერმა ორგანიზაციამ გადმოგვცა შაქრის საზომი აპარატი და სხვადასხვა მცირე ინვენტარი.
5. ზუგდიდისა და თბილისის ტექნოპარკმა უფასოდ დაბეჭდა შინ მოვლის მანქანისთვის გარე გაფორმება.

5. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

(ძირითადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ დასახელება. გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა და ა.შ)

ზუგდიდი, სამეგრელო ზემო–სვანეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში (ფართობი–692 კვ.კმ), მისი დასავლეთი საზღვარი გაუყვება შავი ზღვის სანაპიროს (განმუხური, ანაკლია), ჩრდილო–დასავლეთით აფხაზეთის ადმინისტრაციული ზოლი (გალის რაიონი), ჩრდილოეთით და ჩრდილო–აღმოსავლეთით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის, აღმოსავლეთით ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის, სამხრეთით კი, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიები ესაზღვრება.

მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება–დასახლებულობა უშუალოდ დაკავშირებულია მისი მიწების სამეურნეო ათვისების პირობებსა და შესაძლებლობებთან, ამავე დროს საკუთრივ ქალაქ ზუგდიდის, როგორც შემკრები ცენტრის მზარდ განვითარებასთან.

აღსანიშნავია, რომ ზუგდიდი დევნილი მოსახლეობის კომპაქტური ჩასახლების მხრივ ყველაზე დიდი ცენტრია თბილისის შემდეგ. ამასთან მოსახლეობის სიმჭიდროვის მხრივ ქ. ზუგდიდი სამეგრელოში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა.

ადმინისტრაციული ცენტრი: ქ. ზუგდიდი

ტერიტორია – 668 კვ.კმ.
მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და თბილისს შორის – 339 კმ.
სოფელი –48.
ქალაქის მოსახლეობა– 64571
სოფლების მოსახლეობა –96780

მოსახლეობა დევნილთა ჩათვლით – 161351
მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა:

1. ქართველი - 98,2%;
2. რუსი - 0,9%;
3. უკრაინელი - 0,1%;
4. აფხაზი - 0,1%.
5. სხვა დანარჩენი –0,6%

6. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები:**

(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.**
- **გარეშე ფაქტორები - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;**

პროექტის „ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი“-ის განხორციელება განაპირობა, როგორც შიდა, ასევე, გარე ფაქტორებმა. 2017 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური დაცვის განყოფილება აქტიურად იყო ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კუთხით. ჩეხურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ People in Need Georgia(PIN)-მ განახორციელა პროექტი „სოციალურ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა სტრატეგიულ დიალოგში საქართველოში“, სადაც გააერთიანა ყველა ორგანიზაცია სამთავრობო, ადგილობრივი თვითმმართველობა და არასამთავრობო ორგანიზაციები და შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად. პროექტის ბოლოს გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, სადაც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობამ მიიღო მონაწილეობა დაიწერა პროექტი „ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი“ და გაიმარჯვა, რაც შიდა ფაქტორზე, ანუ კვალიფიციური სამუშაო გუნდის არსებობაზე მიუთითებს. პროექტი განხორციელდა თანადაფინანსებით მერიის მხრიდან 5700 ლარის ოდენობით, ხოლო, ორგანიზაცია People in Need Georgia(PIN)-ის მხრიდან 18227 ლარის ოდენობით. საერთო ღირებულება შეადგენს 23927 ლარს. პროექტი იყო ინოვაციური, არ განხორციელებულა არც ერთ მუნიციპალიტეტში, სერვისის დანერგვის პრაქტიკა არ გააჩნდა არც ერთ მუნიციპალიტეტს, რადგან ხშირ შემთხვევებში თუკი არსებობს მუნიციპალიტეტებში სერვისები მისი განხორციელება ხდება, რომელიმე სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით. ხოლო, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის გამოწვევა იყო, რომ უშუალოდ სერვისის განმახორციელებელი ყოფილიყო გამგეობა. გამგეობის სხვადასხვა სამსახურების ურთიერთთანამშრომლობით, შედგა და დაინერგა სერვისი, რომლის ანალოგი არათუ ქვეყნის შიგნით მის გარეთაც იშვიათობაა.

აღსანიშნავია, 2 დადებითი ფაქტი:

1. ჩვენი პრაქტიკა გაიზიარა და წარმატებით დანერგა ტყიბულის მუნიციპალიტეტმა
2. მეზობელი ქვეყნის-სომხეთის დაინტერესება, რომელმაც გადაიღო მაგალითი და შექმნა ანალოგიური პროექტი.

7. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო)

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი;**
- **განხორციელებისათვის მიღებული და გაფორმებული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი (ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, ინსტრუქციები) აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;**
- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ;**
- **განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**
- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკის წარმატებით განხორციელებისათვის;**

პროექტის დანერგვისათვის რამდენიმე ეტაპი განხორციელდა, რომელიც იყო საკმაოდ შრომატევადი, და საინტერესო. საქართველოს მუნიციპალიტეტებიდან ზუგდიდმა პირველმა გადაწყვიტა ასეთი ტიპის სერვისის დანერგვა პრაქტიკაში.

პირველი ეტაპი იყო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება, რომელიც მოიცავდა:

1. ისეთი ამოცანისა და მიზნის ჩამოყალიბება, რომელიც პასუხობდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმას.
2. სამიზნე ჯგუფის შერჩევა.
3. მობილური ჯგუფის წევრებისა და მოხალისეების შერჩევა.
4. შინ მოვლის სერვისის ფუნქციის განსაზღვრა.
5. ბიუჯეტის განსაზღვრა.
6. შესასყიდი საქონლის/მომსახურეობის დადგენა.
7. ბაზრის კვლევა.

საგრანტო კონკურსში გამარჯვების შემდგომი ეტაპი გახლდათ მოსამზადებელი პერიოდი.

1. **შესყიდვების განხორციელება:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის გაფორმდა 10მდე ხელშეკრულება. შესყიდულ იქნა მცირე ტევადობის ავტობუსი, მცირე ტექნიკა, სხვადასხვა სახის ინვენტარი, სამედიცინო ნივთები და სხვა საჭირო ინვენტარი.
2. **დოკუმენტაციების მომზადება:** ინვოისების შეგროვება, განაცხადის მომზადება, ხელშეკრულების გაფორმება, ინსპექტირების აქტი, მიღება-ჩაბარების აქტი, ბრძანების მომზადება, ვალდებულების დოკუმენტის, სასაქონლო მოთხოვნისა და სასაქონლო ზედნადების შეგროვება.
3. **მობილური ჯგუფის დაკომპლექტება:** გაფორმდა ხელშეკრულებები შემდეგ პოზიციებზე: ექიმი, მომვლელი ქალი და მძღოლი, რომელიც ასევე სხვადასხვა ფუნქციებს ითავსებენ.
4. **მოქალაქეთა ჩართულობის გააქტიურება:** მოხალისეებისა და კერძო ბიზნესის ჩართვა/დაინტერესება.
5. **ფინანსურად მომგებიანი გზების მოძიება:** ტექნოპარკთან თანამშრომლობა.

6. **სამიზნე ჯგუფის დადგენა:** თითოეული ბენეფიციარი შეირჩა ადგილზე ვიზიტით სამუშაო ჯგუფის მიერ.
7. **გრაფიკის შედგენა:** შინ მოვლის ვიზიტები გადანაწილება.
8. **შუალედური ანგარიშის მომზადება.**

მესამე ეტაპი არის უშუალოდ სერვისის განხორციელება, რომელიც დღემდე წარმატებით ხორციელდება:

2017 წლის 3 ივლისს განხორციელდა პირველი ვიზიტი ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფის მიერ. შინ მოვლის პროგრამა მოიცავს შემდეგ ფუნქციებს:

- ხანდაზმულთა პირადი ჰიგიენის მოწესრიგება
- სამედიცინო მომსახურება
- სალონური მომსახურება
- საცხოვრებელი გარემოს მოწესრიგება
- ეზო-კარის მოწესრიგება, ბალახის მოთიბვა,
- შეშის დაპობა/დახერხვა
- ფსიქო-ემოციური მხარდაჭერა
- საჭირო მიმართულებით დაკვალიანება, კონსულტაცია
- ახალგაზრდა მოხალისეების ჩართულობა
- კვებით უზრუნველყოფა

ზემოაღნიშნულ მომსახურებას ახორციელებს მობილური ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია ექიმით, მომვლელი ქალით, რომელიც ზრუნავს ხანდაზმულთა პირად ჰიგიენაზე, სალონურ მომსახურებაზე, საცხოვრებელი ოთახების მოწესრიგებაზე; მძღოლი ითავსებს ძალისმიერ სამუშაოებს, თიბავს, ჩეხავს/ხერხავს შეშას. ახალგაზრდა მოხალისე აქტიურად არის ჩართული ამ პროცესებში და საჭიროებისამებრ ეხმარება ჯგუფის წევრებს.

პროექტის ფარგლებში შეძენილი მცირე ტევადობის ავტობუსი სრულად არის ადაპტირებული ზემოჩამოთვლილი მომსახურების გასაწევად; დამონტაჟებულია წყლის ავზი, სარეცხი მანქანა საჭირო ტუმბოებით, განთავსებულია სათავსოები, მოთავსებულია ეზოს სამუშაოებისათვის სამეურნეო ინსტრუმენტები, საყოფაცხოვრებო-დასასუფთავებელი ნივთები, მოწყობილია სალონური მომსახურებისთვის კუთხე, სარკითა და ყველა საჭირო ნივთებით(მანიკურის ხელსაწყოები, თმის მოვლის საშუალებები, ფენი და სხვა), სამედიცინო ნივთები(წნევის, შაქრის საზომი აპარატები) და მედიკამენტები.

რაც შეეხება დაბრკოლებებს, პროექტის მიმდინარეობის პერიოდში, გახლდათ დროის ფაქტორი; პროექტში გათვალისწინებული გვქონდა 1 თვე მოსამზადებელი პერიოდი, ხოლო 6 თვე სერვისის მიწოდებისთვის.

მცირე ტევადობის ავტობუსის შესაძენად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების სამსახურის მიერ 2ჯერ გამოცხადდა ტენდერი და ორივეჯერ ჩაიშალა, რადგან არავინ მიიღო მონაწილეობა. შემდეგ გამარტივებული ტენდერით მოხდა შესყიდვის განხორციელება. ფიზიკურმა პირმა გერმანიიდან ჩამოიყვანა FORD Transit-ის მარკის, გერმანიაში წარმოებული, მეორადი მდგომარეობის მიკროავტობუსი, რომლის ღირებულება გახლდათ 10 000 ლარი. აღნიშნულ გარემოებას დაემატა საფინანსო და შესყიდვების სამსახურების მიერ განხორციელებული პროცედურები, რამაც მოითხოვა დამატებითი დრო და სერვისის მიწოდების

ვადის შემცირება, აქედან გამომდინარე მობილური ჯგუფის (ექიმის, დამხმარე ქალისა და მძღოლის) ხელფასიც შემცირდა 1 თვით.

თავდაპირველად წარდგენილ განაცხადში პროექტი ითვალისწინებდა 4 თანამშრომლის ქირაობას, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ გამგეობის თანამშრომლების მიერ მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაციები ბუღალტრის ქირაობა არ გახდა საჭირო. ხოლო, მისთვის გათვალისწინებული თანხა 150 ლარის ოდენობით ყოველთვე დაიზოგა და მოხმარდა ბენეფიციართა საჭიროებებს. ხელფასის შემცირებამ მოგვცა დამატებითი თანხა, რითაც ჩვენი სამიზნე ჯგუფისათვის შევიძინეთ მედიკამენტები, საბანი, ბალიში, თეთრეულის კომპლექტი და პირსახოცი. ყოველი ცვლილება ხდებოდა პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციის კოორდინატორთან შეთანხმებით.

ასევე, არ იყო გათვალისწინებული საკვები პროდუქტების მიწოდება, ერთერთმა რესტორანმა გამოთქვა სურვილი და მისი დახმარებით დაემატა საკვების მიწოდების სერვისიც.

მოგეხსენებათ, პროექტი „ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი“ ინოვაციურია, საქართველოში პირველად დაინერგა მსგავსი სერვისი, აქედან გამომდინარე გამგეობას/მერიას არ ქონდა გამოცდილება ფინანსური თუ იურიდიული დოკუმენტაციების წარმოების მხრივ, თუმცა ყველა დაბრკოლება დადებითად და რა თქმა უნდა კანონის შესაბამისად იქნა გადალახული.

ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია People in Need Georgia(PIN) გახლდათ ევროკავშირისა და ჩეხეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის **„სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება სტრატეგიულ დიალოგში საქართველოში“-** ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარდგენილი პროექტის ძირითადი თანადაფინანსების წყარო. მათ მოიწონეს იდეა, განხორციელების გეგმა და შესაბამისად გაიმარჯვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარდგენილმა პროექტმა. პარტნიორმა ორგანიზაციამ ჩაატარა პროექტის ფარგლებში სოციალური დაცვის თემატიკის სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები, შესაბამისად, ამაღლდა გამგეობის სოციალური დაცვის განყოფილების თანამშრომელთა კვალიფიკაცია.

8. მიღწეული შედეგი:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი თავად სერვისის მიმღები ბენეფიციარები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები არიან, რომლებიც გამოხატავენ მადლიერებას. საზოგადოების ჩართულობა და ინტერესი დღემდე საკმაოდ დიდია. ვიღებთ მონაწილეობას სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ შეხვედრებზე, ვცდილობთ გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება თუ როგორ შეიძლება არც თუ ისე დიდი თანხით დაინერგოს რეზონანსული, ინოვაციური სერვისი. დიდია ინტერესი მედიის მხრიდან „ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფი“-ს შინ მოვლის სერვისის შესახებ შუქდება სხვადასხვა ტელევიზიებისა და ონლაინ გაზეთების საშუალებით.

ნებისმიერ დაინტერესებულ ორგანიზაციას/პირს ვუწევთ რეკომენდაციებს აღნიშნული სერვისის შესახებ. წარმატებული მაგლითები:

- დაინტერესდა და დაინერგა ტყიბულის მუნიციპალიტეტში შინმოვლის სერვისი.
- პროექტი სამაგალითო აღმოჩნდა მეზობელი ქვეყნისთვისაც. ერთერთი ორგანიზაცია სომხეთში დაინტერესდა, რომელმაც განახორციელა ანალოგიური პროექტი.

უმთავრეს მიღწეულ შედეგად მიგვაჩნია, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და ერთობლივი ძალებით ამა თუ იმ პრობლემის მოგვარება ჩვენი ბენეფიციარისთვის. აღსანიშნავია რამდენიმე მაგალითი: ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ხანდაზმული მამაკაცის სურვილი იყო ჰქონოდა ტელევიზორი. ერთერთმა მოქალაქემ თავისი ინიციატივით გადაწყვიტა გადაეცა ბენეფიციარისთვის აღნიშნული ტექნიკა. ასევე, გამოგვეხმაურა გერმანიაში მცხოვრები ზუგდიდელი ქალბატონი, რომელმაც სოციალური ქსელის მეშვეობით ქველმოქმედების სახით შეაგროვა გარკვეული რაოდენობის თანხა მუნიციპალიტეტის გამგეობის ჩართულობის გარეშე და მონაწილეებმა გადაწყვიტეს შეგროვებული თანხით მცირე საჩუქრები გაეკეთებინათ ჩვენი ხანდაზმული ბენეფიციარებისათვის, მათ მიუტანეს საკვები პროდუქტები ასევე, ყველაზე მეტი საჭიროების მქონე 10 ბენეფიციარს თითოეულს 50 ლარის ოდენობით თანხა გადასცეს.

9. **მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:**

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები (მ.შ კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);**
- **ინფორმაცია პრაქტიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ;**

ამ პროექტის, როგორც დანერგვა ასევე, განხორციელება იყო სრულიად ახალი გამოწვევა და გამოცდილება. შინ მოვლის სერვისის დანერგვის წარმატების ფაქტორი გახლდათ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი გამგეობის/მერიის თანამშრომელთა ენთუზიაზმი, ანალიზის უნარი, წინასწარი განჭვრეტის უნარი. ასევე, გამოცდილება მიიღო ყველა იმ სამსახურმა რომელიც იყო ჩართული ამ პროგრამის დანერგვის პროცესში სოციალური და ჯანდაცვის სამსახური, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, შესყიდვების სამსახური, იურიდიული განყოფილება, ადმინისტრაციული სამსახური.

პროგრამა დღემდე აქტიურად მიმდინარეობს, მობილური ჯგუფის მიერ ხორციელდება ვიზიტები. თუკი 2017 წელს გვყავდა 30 მარტოხელა ხანდაზმული, 2018-2019 წლებში სერვისით სარგებლობს 100ზე მეტი მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმული, მიმდინარე პროგრამის არსებობის საჭიროება არის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, აქედან გამომდინარე გაგრძელდება 2020 წელსაც. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყოველწლიური ინვენტარის განახლებისა და მედიკამენტების შესყიდვის გეგმა.

10. **საკრებულოს როლი:**

- **პრაქტიკის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
- **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
- **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდებულება ამ საუკეთესო პრაქტიკის მიმართ;**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული სოციალური დაცვის პროგრამებიდან ერთერთი პროგრამის - **„სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების“** ფარგლებში

განხორციელდა თანამშრომლობა ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია People in Need Georgia(PIN)-თან. სწორედ აქედან დაიწყო სერვისის დანერგვაზე ფიქრი და რა თქმა უნდა მოწონება დაიმსახურა „ხანდაზმულებზე მზრუნველი მობილური ჯგუფის“ პროგრამამ.

11. პრაქტიკასთან/ინიციატივასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმის მოკლე მიმოხილვა;

2017 წელს დანერგილი ხანდაზმულთა შინ მოვლის სერვისი ხორციელდებოდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და არასამთავრობო ორგანიზაციის თანადაფინანსებით, რომელიც ითვალისწინებდა მხოლოდ 30 მარტოხელა ხანდაზმულთა მომსახურებას. 2018 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სრული დაფინანსებით ჩაჯდა სოციალური დაცვის განყოფილების პროგრამაში და დაემატა მარტო მცხოვრები ხანდაზმულებიც. სერვისის მიმღებ ბენეფიციართა საერთო რაოდენობა შეადგენდა 101 ხანდაზმულს. 2019 წელს 130მდე ხანდაზმულია ჩართული. პროექტი წარმატებულია, იზრდება მოთხოვნაც და მისი ფუნქციებიც უფრო მრავალფეროვანი ხდება.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

(აქ მოცემული უნდა იყოს იმ პირების საკონტაქტო მონაცემები *(სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ-ფოსტა), რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს)*

გოგი რევია - II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი; 595322402 gogirevia@gmail.com

თამარ ჩიქავა - III რანგის პირველი კატეგორიის - სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი; 555650050 tchikava@yahoo.com;

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის დადგენილება N34.(მუხლი8) (2018 წელს გახდა პროგრამული აღნიშნული სერვისი და ფინანსდება მხოლოდ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ).
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 იანვრის დადგენილება 4 (მუხლი.8)



2017 წელი

PEOPLE IN NEED
CZECH REPUBLIC
TRANSITION
Ford
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
CARE PROGRAM FOR THE ELDERLY
ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia
TRANSITION
www.zugdidimunicipality.gov.ge
e-mail: zugdidi.gamgeoba@gmail.com
Tel: 591 44 75 79

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი
ევროკავშირი
საქართველოსთვის
TRANSITION
www.zugdidimunicipality.gov.ge
e-mail: zugdidi.gamgeoba@gmail.com
TRANSIT
PP-281-RR

2018-19 წელი

მობილური ჯგუფი: ექიმი, მომვლელი ქალი, მძღოლი, მოხალისე

FORD transit-ს ფირმის მცირე ტევადობის ავტობუსში განთავსებულია მცირე ტექნიკა, ხელსაწყოები, სამუშაო ატრიბუტები, დამონტაჟებულია წყლის ავზი, სარეცხი მანქანა, სალონური კუთხე

პერსონალურ მონაცემდა დაცვის მიზნით ბენეფიციარებისთვის შედგენილია სპეციალური ანკეტა, სადაც მათი თანხმობის შემთხვევაში ხდება ფოტოების გასაჯაროება

შენიშვნა: პროექტი დაინერგა 2017 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ქალაქ ზუგდიდის მერიის გაერთიანებამდე. ეს გახლდათ 5-6 თვიანი სტარტაპი არასამთავრობო ორგანიზაციის თანადაფინანსებით. 2018 წელს მუნიციპალიტეტების გაერთიანების შემდეგ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში გაერთიანდა პროგრამები და შესაბამისად, ხანდაზმულთა შინმოვლის სერვისი 2018-19 წლებში ხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.